თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის, გიორგი ბახტურიძისა და ნანა ფეიქრიშვილის საჩივარი ჟურნალისტების მიერ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების“ დარღვევის შესახებ.

თბილისი, 04.09.2022 წ.

==========

1. www.ifact.ge-ს ე.წ. ჟურნალისტური გამოძიება სათაურით: „NCDC-ს პრივილეგირებულთა ალიანსი ბიუჯეტიდან მილიონებს იღებს“. მ/წ 9 აგვისტოს გამოქვეყნდა ვებ გვერდზე: https://www.ifact.ge/tambako/

ავტორები: ია ასათიანი და ნონა ქვლივიძე

„აი, ფაქტი . ifact.ge” - მ სტატია მათივე ფეისბუქ გვერდზე, 9 აგვისტოს სრულად და შემდგომ, 12, 22 და 24 აგვისტოს, დანაწევრებულად ატვირთეს, ე.წ. ჟურნალისტური გამოძიებისადმი ინტერესის გასაზრდელად.

შევეცადეთ ე.წ. ჟურნალისტური გამოძიების ტექსტის მიხედვით გაგვეშიფრა ყველა სიცრუე და ყალბი შინაარსის შემცველი ინფორმაცია, რაც მოცემულია ტექსტში. ასევე, საფუძვლიან ფაქტორებზე დაყრდნობით, გამოკვეთილია სტატიის სახით გამოქვეყნებული ცილისწამებების დამკვეთი, რომელიც გარკვევით ჩანს ტექსტში. ავტორების ცილისწამებებებზე ჩვენი პასუხები მოცემულია წითლად.

ჩვენს მიმართვას ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისათვის, დავიწყებთ სათაურიდან:

„NCDC-ს პრივილეგირებულთა ალიანსი ბიუჯეტიდან მილიონებს იღებს“.

რახან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მკითხველთა უმრავლესობა ჰედლაინს (სათაურს) კითხულობს, ცილისწამების ავტორები სათაურიდანვე მილიონების მიტაცებაზე ცრუ შთაბეჭდილებას ქმნიან.

ბოლო ათწლეულია, “დაავადებათა კონტროლის ცენტრი” ქვეყანაში სიგარეტის მწეველთა რიცხვის შემცირებაზე ზრუნავს. ცვლილებების მონიტორინგისთვის კი ქირაობს სულ ერთსა და იმავე ორგანიზაციას, რომელსაც ასიათასობით ლარს უხდის. თუმცა, არავინ იცის, რამდენად ეფექტიანია ამ ფულის ხარჯვა და რეალურად შემცირდა თუ არა მწეველთა რიცხვი ქვეყანაში. ცენტრის მიერ დაქირავებული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ახლა “დაავადებათა კონტროლის ცენტრის” თანამშრომელია.

ძალიან გვინდა ვიფიქროთ, რომ ავტორები შეგნებულად ცრუობენ. გვირჩევნია, შეცდომები, რომელსაც სტატიის დასაწყისშივე ვაწყდებით, არაპროფესიონალიზმის შედეგი იყოს. დაავადებათა კონტროლის ცენტრი 10 წლის განმავლობაში, ვერანაირად ვერ დაიქირავებდა ერთსა და იმავე კომპანიას „ცვლილებების მონიტორინგისათვის“. აი რატომ

1. პირველ რიგში, ჩვენი ორგანიზაცია „კომპანია“ არ არის. არის „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“. ავტორებს გამიზნულად შეჰყავთ აუდიტორია შეცდომაში, ამ კუთხითაც კი;
2. თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის მონიტორინგსა და აღამსრულებელი სტრუქტურების ტრეინინგების პროგრამა 2018 წლიდან ამოქმედდა, მანამდე ტენდერებში მხოლოდ კვლევებზე და საკომუნიკაციო-საგანმანათლებლო კამპანიებზე ცხადდებოდა ტენდერები (უმეტესად მიზერულ თანხებზე, რაც მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს, როგორც ჩანს არ იზიდავდა). რატომ? იმიტომ, რომ თამბაქოს კონტროლის კანონი 2017 წლის 17 მაისს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. 2018 წლის 1 მაისს კი დაიწყო კანონის აღსრულება. მონიტორინგის პროგრამა 2018 წლიდან, ანუ სულ ხუთი წელია ამოქმედდა და არა, ათი, როგორც სტატიაში ამბობენ ავტორები.
3. გაუგებარია რა იგულისხმება ცვლილებებში. თუ თამბაქოს კონტროლის რეფორმების მონიტორინგს გულისხმობენ, არასწორი ფორმულირებაა. მონიტორინგის პროგრამა ხელს უწყობს თამბაქოს კონტროლის აღსრულებას დახურულ სივრცეში მოწევის წესის დაცვის შესახებ, სავაჭრო ობიექტებში თამბაქოთი ვაჭრობის წესების დაცვის შესახებ, თამბაქოს რეკლამის აკრძალვის შესახებ და ა.შ. 2021 წელს ძალაში შევიდა რეგულაცია, რომელიც მაგ. სავაჭრო ობიექტების შიდა სივრცეში თვალსაჩინოდ გამოდებული თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობას კრძალავს. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგულაციის ამოქმედებამდე მედიითაც ვრცელდებოდა ინფორმაციები და შემოსავლების სამსახურმაც უზრუნველყო გამაფრთხილებელი შეტყობინების გაგზავნა, თამბაქოს ინდუსტრიის მიერ წაქეზებული ბრენდმარკეტების ქსელები სულაც არ ცდილობდნენ კანონის დაცვას. მონიტორებისგან შემოსავლების სამსახურებისთვის გადაცემული ინფორმაციების საფუძველზე, მას შემდეგ, რაც დაჯარიმდა რამდენიმე სავაჭრო ობიექტი, ყველამ ინება რეგულაციის აღსრულება, თუმცა, პერიოდულად ისევ არღვევენ ამ და სხვა ნორმებს. ეს ერთი მარტივი მაგალითია იმის საილუსტრაციოდ რაში გვჭირდება კანონის აღსრულების სამოქალაქო მონიტორინგი და მონიტორები. აღნიშნული რეგულაცია ძალაში შევიდა პანდემიის პირობებში და რახან სამასპინძლო ბიზნესი

ფაქტობრივად გაჩერებული იყო, მონიტორების მთელი ძალისხმევა სავაჭრო ობიექტებში ახალი რეგულაციების მიმართ დამოკიდებულების შესწავლას (დარღვევების მხილებას) მოხმარდა. შეგვიძლია ამ თემაზე ბევრი, ამომწურავად და მტკიცებულებების წარდგენით ვილაპარაკოთ. ამის სურვილი გვქონდა მაშინაც, ვიდრე ცილისმწამებლურ სტატიას გამოაცხობდნენ, შევთავაზეთ (ერთ-ერთ ავტორს, ნონა ქვილივიძეს) ოფისში მოსვლა და მასალების გაცნობა, მაგრამ არ ინებეს ჩვენი მოსმენა.

4. სტატისტიკას, შემცირდა თუ არა მწეველთა რიცხვი საქართველოში, ამოწმებს ან იკვლევს არა თამბაქოს ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი, არამედ, სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაციები, რომელთაც კონკრეტულ კვლევებზე დაკვეთებს აძლევს დაავადებათა კონტროლის ცენტრი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა (შეგვიძლია სრულად ჩამოვთვალოთ).
5. დაავადებათა კონტროლის ცენტრი ზოგადად, კონკრეტულად, ვერცერთ ორგანიზაციას ვერ ქირაობს, ეწყობა ტენდერი, სადაც იმარჯვებს ის, ვინც აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს და შესასრულებელ სამუშაოში ყველაზე ნაკლებ თანხას მოითხოვს.
   თუ ორგანიზაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო კრიტერიუმებს, პირველ ადგილზე დაბალი ფასით გასული ორგანიზაცია მოიხსნება გამარჯვებულის პოზიციიდან და ტენდერში გამარჯვებული ხდება მას შემდეგ მყოფი, თუ რა თქმა უნდა, აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს. შესაბამისად, აქ, ამ პროცესში არაფერ შუაშია ერთი „კომპანიის“ დაქირავება. „კომპანიაზე“ განმარტება უკვე ზემოთ გავაკეთეთ.

ნანა ფეიქრიშვილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტია. ცენტრში ის 2021 წლის სექტემბრიდან <u>მუშაობს</u>. თუმცა, NCDC-სთან ადრეც თანამშრომლობდა. ჩვენ ვიპოვეთ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ 2016 წელს ნანა ფეიქრიშვილი NCDC-ის ტენდერში თარჯიმნად <u>მუშაობდა</u>.

ნანა ფეიქრიშვილი 2021 წლის 1 ოქტომბრიდან არის დაავადებათა კონტროლის ცენტრში საზ. ჯანდაცვის სპეციალისტის საკონტრაქტო პოზიციაზე, რომელიც კონკურსის საფუძველზე შეირჩა გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტში და ისიც შესაბამისი, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. რაც იმას ნიშნავს, რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრის დროებით დასაქმებული თანამშრომელია, რომელიც მისი პროფესიიდან გამომდინარე, გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების კუთხით მუშაობს. როგორი გავლენა შეიძლება მოეხდინა წინა წლების ტენდერებზე, ფანტასტიკის სფეროს სცილდება. ხოლო, ამჟამინდელი მისი პოზიცია არანაირ შემხებლობაში არაა თამბაქოს

კონტროლთანაც კი, არათუ სატენდერო პროცესებთან. არანაირი ინტერესთა კონფლიქტი ამ პროცესში არაა და ვერც იქნება, რასაც სტატიაშიც აღიარებენ ავტორები, თუმცა იქვე ეჭვებს გამოთქვამენ და ამ ეჭვების საფუძვლების გასამყარებლად ვერანაირი მტკიცებულება ვერ მოჰყავთ, რადგან ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს.

რაც შეეხება 2016 წელს ნანას თარჯიმნობას, როგორც ჩანს, სტატიის ავტორი მედია-მკვლევარები დოკუმენტებს სწორად ვერ კითხულობენ, თორემ „დანაშაულის“ ნაცვლად აღმოაჩენდენ, რომ სატენდერო წინადადებაში ნანა ჩვენგან, ჩვენი ორგანიზაციისგან არის წარდგენილი თარჯიმნად და რა შუაშია დაავადებათა კონტროლის ცენტრი? ეგონათ ncdc -ს სატენდერო კომისიაში ჰყავდათ აყვანილი? ან სურთ, საზოგადოებას ასე მოაჩვენონ? აბსურდული მსჯელობაა. დაგვეთანხმებით, როდესაც ჟურნალისტურ მოკვლევაზე, ან გამოძიებაზე მუშაობ, დოკუმენტებთან უფრო ფრთხილად უნდა იყო, რომ უნებლიედ თუ შეგნებულად ცილისმწამებლები არ აღმოჩნდე.

ფეიქრიშვილი ა(ა)იპ "თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა. ორგანიზაცია 2003 წელს მისმა ქმარმა, გიორგი ბახტურიძემ დააფუძნა.

2015 წლიდან ბახტურიძემ მართვის სადავეები მეუღლეს, ნანა ფეიქრიშვილსა და მეგობარს, გიორგი მაღრაძეს გადააბარა. თავად მხოლოდ გამგეობის წევრად დარჩა, მაგრამ საჯარო გამოსვლებში მაინც ცენტრის ხელმძღვანელად გვევლინება. 2019 წლის "დაავადებათა კონტროლის ცენტრის" შეხვედრაზე ორგანიზაციის სამოქმედო გეგმას გიორგი ბახტურიძე წარადგენდა.

ორგანიზაციის სადავეების მეუღლეზე და მეგობარზე გადაცემა დანაშაულია? კანონი კრძალავს? მით უფრო, თუ ორივე მათგანი, წლების განმავლობაში კოლეგები იყვნენ. ანუ, ოდესღაც ბახტურიძის მსგავსი პროფესია თუ აირჩია ფეიქრიშვილმა და მაღრაძემ, დანაშაულია? გიორგი ბახტურიძე ობიექტური მიზეზების გამო გავიდა ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოზიციიდან. დასასრულებელი ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია ბერგენის უნივერსიტეტში და ხანგრძლივად ნორვეგიაში უწევდა ყოფნა. ავტორებს უნდა ესმოდეთ, რომ ორგანიზაციის გამგეობის წევრობა არის მოხალისეობრივი პოზიცია, არაანაზღაურებადი. რაც შეეხება გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეობას, ამ „თანამდებობის“ ფუნქციაა თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში გაუძღვეს გამგეობის სხდომას, რაც არასოდეს არ მომხდარა, რადგან თავმჯდომარე

ხელმძღვანელობდა ყოველთვის სხდომებს როცა საჭირო იყო. ამ დეტალების დაზუსტებაც არ ისურვეს „გამოძიების“ ავტორებმა.

მორიგი სიცრუე, სიუჟეტი, რომლის ბმულიც ატვირთულია, – არსად ჩანს, რომ გიორგი ბახტურიძე თამბაქოს კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელია, ის არის თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი. ალიანსი არის არარეგისტრირებული კავშირი და აერთიანებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც თამბაქოს კონტროლის რეფორმის ხელისშემწყობ პროექტებზე მუშაობენ და მხარს უჭერენ საზოგადოების ცხოვრებას ჯანსაღ გარემოში, რაც თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა. ამ ალიანსის ბრძოლა ცნობილია თამბაქოს კონტროლის კანონის განახლებამდე წლების განმავლობაში, რისი უამრავი მტკიცებულებაც არსებობს მედიაში, რომელიც მხარს უჭერდა ალიანსის ინიციატივით, საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანას. რაც შეეხება იმას, რომ გიორგი ბახტურიძე წარადგენს კანონის მონიტორინგის ანგარიშს, თამბაქოს კონტროლის ექსპერტს და ამავდროულად მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელს ამის უფლება არ აქვს? სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულებაც გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ სტატიაში ჩვენს მიმართ ცილისწამებებით გარკვეული დამკვეთების ინტერესები ხმოვანდება – გიორგი ბახტურიძის დისკრედიტაციის მიზნით უსაფუძვლო და ცილისმწამებლური ბრალდებებით მისი საქმიანი რეპუტაცია შეილახოს და ამჯერად, მისი მეუღლის სახელის უსაფუძვლოდ გაქღერებით ეცადნენ „სკანადლის“ შექმნას.

ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ორგანიზაცია NCDC-სთან სხვადასხვა მიმართულებით 2011 წლიდან <u>თანამშრომლობს</u>. იგებს ტენდერებს, ატარებს ტრენინგებს მოწევაზე თავის დანებების შესახებ, აწყობს კამპანიებს თამბაქოს შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, მონიტორინგს უწევს თამბაქოს ბიზნესში არსებული რეგულაციების აღსრულებას. ორგანიზაციას მოგებული აქვს NCDC-ის 23 ტენდერი და გაფორმებული აქვს 8 გამარტივებული შესყიდვა. ჯამში, ბიუჯეტიდან 2.7 მილიონი ლარის ხელშეკრულებები მიიღო.

ჩვენი ორგანიზაციის მსგავსად, სხვა ორგანიზაციებიც ასევე წლების განმავლობაში „თანამშრომლობენ“ დაავადებათა კონტროლის ცენტრთან, იგებენ უფრო მსხვილ ტენდერებს, ატარებენ ტრეინინგებს და კამპანიებს მაგალითად C ჰეპატიტზე, კიბოს სკრინინგზე, ნარკოპრევენციაზე, შიდსზე, ტუბერკულოზზე, ჯანსაღ კვებაზე, უანგარო დონაციაზე და ა.შ. ... მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ორგანიზაციის მსგავსად არ ეხებიან თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესებს, შესაბამისად მათი ყოფნა არ ყოფნა, და ტენდერებში გამარჯვების ფორმები და რაოდენობა დაინტერესებას არ იწვევს. სხვანაირად შეუძლებელია ამ აბზაცის

ახსნა. ტენდერი იმისთვის არის, რომ მონაწილეობა მიიღო და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში განახორციელო სამუშაოები. პროფესიული ორგანიზაციებიც იმისთვის არსებობს, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა მიმართულებაში ჩაერთონ და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას მოემსახურონ. ალბათ არ გსმენიათ, რომ ჩვენი მიმართულების პროფესიულ ორგანიზაციებს ევროკავშირში, არა ტენდერების საფუძველზე, არამედ მილიონობით ევროს მიზნობრივ დაფინანსებას მხოლოდ იმისთვის აძლევენ, რომ საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელი პროფესიული ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ (ოფისისა და ძირითადი პერსონალის ხარჯის დასაფარავად მხოლოდ) და საზოგადოების ჯანმრთელობის, გარემოსდაცვის, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა, მსგავს სიკეთეს ემსახურონ. ცალკეა საგრანტო და გაცვლითი პროგრამები, რომლებსაც ასევე ევროკავშირის გადასახადის გადამხდელები აფინანსებენ. ათწლეულებია თამბაქოს კონტროლსა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სხვადასხვა მიმართულებაში პირუთვნელად და მაღალპროფესიულ დონეზე ვასრულებთ ჩვენს პროფესიულ მოვალეობას, რასაც მოწმობს ის ანგარიშები და შედეგები, რის გაცნობასაც სტატიის ავტორებმა სპეციალურად აარიდეს თავი და რის გამოც საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესიული ორგანიზაციების უპირობო მხარდაჭერა და ჯილდოები გვაქვს მიღებული.

2017 წელს "თამბაქოს კონტროლის შესახებ"
კანონი <u>გამკაცრდა</u> და <u>აიკრძალა</u> მოწევა საჯარო და კერძო სივრცეებში. ცვლილებების ინიციატორი სწორედ ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ალიანსი იყო. მოგვიანებით, "დაავადებათა კონტროლის ცენტრმა" მათვე დაავალა ეკონტროლებინათ, თუ როგორ აღსრულდებოდა კანონი.

დიახ, საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი და არა ერთადერთი ავტორები ვიყავით და ეს ძალიან გვეამაყება. კანონის ავტორობა კრძალავს, ამ კანონის აღსრულებაში სამოქალაქო ზედამდეხველობა რომ განვახორციელოთ? კანონის აღსრულება 2018 წლის პირველ მაისს დაიწყო. მას შემდეგ კი, როდესაც გამოჩნდა, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არ არსებობს ჩვევა კანონდარღვევის სამართალდამცველებისთვის შეტყობინების შესახებ, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციითა და ევროპული ქვეყნების გამოცდილებით, დღის წესრიგში დადგა კანონის აღსრულების სამოქალაქო მონიტორინგის წარმოება და ასევე აღმასრულებელი სტრუქტურების წარმოამდგენელთა (შსს, შემოსავლების სამსახური, ადგილობრივი ზედამხედველობის სამსახური და ა.შ.) მომზადება რეგულაციების ეფექტურად აღსასრულების ხელშესაწყობად. გადაწყვეტილება

დაავადებათა კონტროლის ცენტრს არ მიუღია, უფრო ზევით მიიღეს, პარლამენტსა და მთავრობაში და ავტორებს მოეძებნათ, იქნებ იქაც რა როგორ „ჩავაწყვეთ“.

კანონის გამკაცრების შემდეგ NCDC-მ ამ ორგანიზაციასთან 2,1 მილიონი ლარის 16 ხელშეკრულება გააფორმა. აქედან კონკურენტი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჰყავდა. თუმცა, პროცესი ისე წარიმართა, რომ საბოლოო გამარჯვება მაინც ბახტურიძე-ფეიქრიშვილს დარჩა.

კანონის გამკაცრების შემდეგ დაავადებათა კონტროლის ცენტრმა (რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციაა და ნებისმიერ სახელმწიფო პროგრამას მხოლოდ მასთან შეთანხმებით ახორციელებს) სხვადასხვა დროს, კონკრეტულად ამ წლებში ტენდერზე გამოიტანა სახელმწიფო ჯანდაცვის პროექტები, რომელთაგან თამბაქოს კონტროლის რეფორმების გაძლიერებისთვის 2018–2022 წლებში განკუთვნილი იყო 1,5 მილიონი ლარი (სტატიაში მითითებული თანხა არასწორია და ნაწილი არა სახ. პროგრამიდან, არამედ გლობალური ფონდიდან ტენდერით მიღებული პროექტები იყო), ანუ წელიწადში საშუალოდ 300 ათასი ლარი. იმ კოლოსალური სამუშაოსათვის, რასაც ჩვენი ცენტრი ბოლო 5 წელი ასრულებს, საკმაოდ დაბალი ბიუჯეტია. დაახლოებით 25 000 ობიექტი მოწმდება ჩვენი 35 მონიტორის მიერ, ყოველწლიურად და ასევე ეწყობა 60–70 ტრეინინგი და სამუშაო შეხვედრა აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან, ქვეყნის მასშტაბით. ასევე, ყოველწლიურად, პროგრამის განხორციელების საკითხს სწავლობს შესაბამისი მაკონტროლებლები და ჩვენგან თუ არა, შეეძლოთ მათგან, ან თავად დაავადებათა კონტროლის ცენტრში ჩვენს მიერ წარდგენილი სამუშაოების ანგარიშებში ენახათ ყველა დოკუმენტი და მასალა, რაც ჩვენს მიერ გაწეულ საქმიანობას სრულად და დოკუმენტალურად აღწერს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს მკვლევარების, ან მათი დამკვეთების ინტერესში არ შედიოდა.

ეს ერთი გამონაკლისი ტენდერი 2021 წელს გამოცხადდა თამბაქოს საკითხებზე მოსახლეობაში საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოსაწყობად. ფასი 132,500 ლარი იყო. ტენდერი შპს სივრცემ მოიგო. თუმცა, გამარჯვებულს ხელშეკრულება აღარ გაუფორმეს, რადგან ფეიქრიშვილი-ბახტურიძის ორგანიზაციამ მოწინააღმდეგეს უჩივლა – კადრების კვალიფიკაცია არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებსო. სატენდერო კომისიამ იმსჯელა და ეს საჩივარი დააკმაყოფილა.

რას ნიშნავს გამონაკლისი? რითი იყო გამონაკლისი? იგივე ტიპის პროგრამაზე ტენდერი ცხადდებოდა 2015 წლიდან. „სივრცის“ მიმართ საჩივარი არამართებული იყო? გაეცნენ მასალებს? სიცრუეა, როცა ამბობენ, რომ

სატენდერო კომისიამ იმსჯელა და არ დააკმაყოფილა საჩივარიო. ჩვენ ნამდვილად გავასაჩივრეთ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება შესყიდვების სახ. სააგენტოში, რადგან მხოლოდ ავტობიოგრაფიაში ჩანაწერი არ წარმოადგენდა შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. შესაბამისად, სააგენტომ მიმართა დაავადებათა კონტროლის ცენტრს, გადაეხედათ გადაწყვეტილებისათვის. სამწუხაროდ, დაავადებათა კონტროლის ცენტრმა, რომელთან „გარიგებაშიც“ გვადანაშაულებთ, ძალაში დატოვა მისი ადრინდელი გადაწყვეტილება და ხელშეკრულების გასაფორმებლად ისევ მიიწვია შპს „სივრცე“. ხელმეორედ, სააგენტოში ჩვენს სამართლიან საჩივარს უკვე მოჰყვა ის, რომ სააგენტომ დირექტიულად დაავალა დაავადებათა კონტროლის ცენტრს გაეუქმებინა მისივე გადაწყვეტილება შპს „სივრცის“ გამარჯვებულად ცნობის შესახებ, რადგან კვლავ არ იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი. შესაბამისად, ცენტრმა გააუქმა გადაწყვეტილება და გადავიდა მომდევნო კონკურენტზე, რომელიც შესაძლებელია არც ყოფილიყო ჩვენი ორგანიზაცია. თუმცა ფასის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ ჩვენ ვიყავით მომდევნო და ვაკმაყოფილებდით ყველა კრიტერიუმს, რაც იმ ტენდერისათვის იყო განსაზღვრული. შესაბამისად გამოდის, რომ სტატიის ავტორები აქაც აშკარად მიკერძოებული არიან და საქმის ისე წარმოჩენას ცდილობენ, როგორც ალბათ დამკვეთს სურდა.

NCDC-ის სატენდერო მოთხოვნებში ეწერა, რომ შემსრულებელ კომპანიაში დასაქმებულ პერსონალს უნდა ჰქონოდა თამბაქოს კონტროლის აღსრულების მონიტორინგის <u>გამოცდილება</u>. შეგახსენებთ, რომ 2018 წლიდან მოყოლებული NCDC ყველა მსგავს სამუშაოს ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ა(ა)იპ-ს <u>უკვეთავს</u>. ამიტომ, გაუგებარია, როგორ უნდა მოეხერხებინა სხვა ორგანიზაციას თამბაქოს კონტროლის აღსრულების მონიტორინგის სფეროში გამოცდილების დაგროვება.

ავტორები თავისივე ნათქვამს ეწინააღმდეგებიან. – ტენდერში არა ორგანზიაციას, არამედ დასაქმებულ პერსონალს უნდა ჰქონოდა მსგავსი გამოცდილება და ასეთები ათეულობითაა საქართველოში. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ დარგში პროფესიული ორგანიზაცია ვართ, დაავადებათა კონტროლის ცენტრი არაფერს არ გვიკვეთავს, ეს პროცესი არის საკმაოდ გამჭვირვალე და ღია ტენდერების საშუალებით, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ გამოცდილებას ვიზიარებთ და მოვითხოვთ მიზნობრივ დაფინანსებას. ამასთან გვაქვს პრეტენზია, რომ ყველაზე კარგად და პირუთვნელად ჩვენი ორგანიზაცია უძღვება ამ საქმეს და მოიხედავად იმისა, ეს თამბაქოს ინდუსტრიას ან მის მიერ დაქირავებულ პირებს თუ ორგანიზაციებს არ მოსწონთ. ასეთი შეტევები ჩვენზე არახალია და ყოველი ასეთი შემოტევა რწმენას გვიძლიერებს, რომ სასიკეთო საქმეს ვემსახურებით და

უფრო მძლავრად გავაგრძლებთ თამბაქოს ინდუსტრიისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა თუ პირების უკანონო საქმიანობის მხილებას.

საბოლოოდ, ეს ტენდერიც შეწყდა. თუმცა, სამთვენახევარში ხელახლა გამოცხადდა და ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ააიპ-მა მოიგო. შპს "სივრცემ" FCTC-ის კონკურენტობა მეორედაც "გაბედა," მაგრამ ტენდერში შესვლისთანავე დისკვალიფიკაცია მიენიჭა.

„სივრცეს" არაფერი არ შეუცვლია, დაამატა ერთი პირი, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ წარმოუდგენია მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამიტომაც მიიღო დისკვალიფიკაცია. ზემოთ არის აღწერილი ეს პროცესი და კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ შესყიდვების სააგენტომ (რომელთანაც „გარიგებაში" შეიძლება დაგვადანაშაულონ ავტორებმა მომავალში) გააუქმა დაავადებათა კონტროლის ცენტრის გადაწყვეტილება და ჩვენმა პროფესიულმა ორგანიზაციამ მოიპოვა სამართლიანი გამარჯვება.

"აი, ფაქტი" დაუკავშირდა "სივრცეს" დირექტორ თამარ ვაშაკიძეს, რომ გაგვერკვია, კონკრეტულად, რა ტექნიკური ხარვეზი დაუდგინა სატენდერო კომისიამ და რატომ არ გაასაჩივრეს შედეგი. მან ამ მიზეზებზე ჩვენთან საუბარი არ ისურვა. შემდეგ ვკითხეთ, რატომ აღარ შედის მისი ორგანიზაცია ამ ტიპის ტენდერებში. "არაა გამორიცხული, მომავალში ისევ შევიდე და ჩემი ნება-სურვილია, მინდა შევალ, მინდა არ შევალ და ძალიან ცუდ დროს მირეკავთ," – გვითხრა ვაშაკიძემ.

ჩვენ მზაობა გამოვთქვით ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად და ავტორებმა კი არც მოგვმართეს, არც მოგვისმინეს, თორემ ამ კითხვაზეც მიღებდნენ პასუხს.

ბახტურიძე-ფეიქრიშვილის მეორე კონკურენტ კომპანიას, შპს "არტინფო საქართველოსაც" დავუკავშირდით. დირექტორის ყოფილმა ასისტენტმა, მაგდა სარსევანიძემ გვითხრა, რომ ახლა კომპანია აღარ მუშაობს. "ბოლო წელს გამოცხადებულ თითქმის ყველა ტენდერში შევედით, მაგრამ რამდენიმე ვერ მოვიგეთ. როგორც მახსოვს, მოთხოვნა იყო ასეთი, რომ მანამდე წინა გამოცდილება უნდა ყოფილიყო ამ მიმართულებით მუშაობის, იქნებოდა ეს თამბაქო თუ არ ვიცი სხვა რამ. შეიძლება, მაგ პუნქტში ვერ დააკმაყოფილა ჩვენმა ორგანიზაციამ კრიტერიუმები, ზუსტად პასუხი არ მაქვს," – გვითხრა სარსევანიძემ.

აქაც სიცრუე, ორგანიზაციის გამოცდილებას არ ითხოვდნენ. როგორც სტატიაშიც აღნიშნავენ, შესაბამისი გამოცდილი პირები თუ ვერ იპოვეს როგორც

მონიტორინგისათვის, ასევე შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურების გადასამზადებლად, ან არ გააჩნდათ მაგ. ჰაერის ხარისხის მონიტორი და ა.შ. ჩვენ რა შუაში ვართ? თან სარსევანიძეც ზუსტად ვერ პასუხობს კონკრეტულად ამ ტენდერებთან დაკავშირებულ საკითხებს ...

NCDC-ის მიერ 2018 წლიდან გამოცხადებულ ტენდერებში, რომელიც თამბაქოს კანონმდებლობას ეხება, მოთხოვნაა, რომ მონაწილე კომპანიას უნდა ჰქონდეს თამბაქოს კონტროლის აღსრულების მონიტორინგის გამოცდილება. შეგახსენებთ, NCDC ყველა მსგავს სამუშაოს ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ა(ა)იპ-ს უკვეთავს, შესაბამისად გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა სხვა ქართულ კომპანიას ფიზიკურად არ ჰქონია.

ამ საკითხე ზემოთ ვუპასუხეთ.

"ასეთი ტიპის მუხლები არის მაღალი რისკი. არსებობს მაღალი ეჭვი, როდესაც ასეთი ტერმინოლოგია ჩნდება. რითი ხსნიან სამწლიანი გამოცდილების აუცილებლობას, ესაა მნიშვნელოვანი. არის თუ არა აუცილებლობა, რომ სამწლიანი გამოცდილება იყოს დაფიქსირებული,"- გვითხრა კორუფციის მკვლევარმა, ორგანიზაცია "შეაჩერე კორუფციის" დამფუძნებელმა ქეთევან ენუქიძემ.

რა სამწლიან გამოცდილებაზეა ლაპარაკი? ლოგიკურად განსაჯონ და მერე თქვან, აქვთ თუ არა, ეჭვის არსებობის საფუძველი. საეჭვო სამწლიანი გამოცდილება კი არაა, არამედ ის, რომ სფეროა ძალიან სპეციფიკური და თამბაქოს ინდუსტრიის ან მისი სატელიტი ორგანიზაციების მხრიდან დიდი ალბათობაა ასეთ საქმიანობაში შემოსვლის, ან ასეთი საქმიანობის ნიველირების, რასაც აშკარად ემსახურება სტატია, რომელიც ერთი დიდი ცილისწამებაა. ცნობისათვის, საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკით, მსგავს პროგრამებში მონაწილე ორგანიზაციებს მოეთხოვება მინიმუმ ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონდეთ არანაირი ურთიერთობა და თანამშრომლობა თამბაქოს ინდუსტრიასთან ან მათთან დაკავშირებულ პირებთან. ეს წესებიც არ იცინ, როგორც ჩანს ავტორებმა და ვერც სატენდერო პირობებში ამოიკითხეს, სამწუხაროდ. ერთ-ერთ კომპანიას, სწორედ ამის გამო მიეცა დისკვალიფიკაცია, რადგან აღმოჩნდა, რომ „ფილიპ მორის ინთერნეიშენალის" კონკრეტული ბრენდის რეკლამა-პოპულარიზაციაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა წინა წლებში.

ორგანიზაციის მიმართ ხელშეწყობაზე მეტყველებს კიდევ ერთი ტენდერი, რომელიც ცენტრმა 2016 წლის მაისში გამოაცხადა. თამბაქოს საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად ცენტრი 41,500 ლარის დახარჯვას

აპირებდა. კონკურსში ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ორგანიზაციასთან ერთად ა(ა)იპ "არტინფო საქართველოც" მონაწილეობდა. ფეიქრიშვილი-ბახტურიძის ალიანსმა თავიდან ამ საქმისთვის 41,500 ლარი მოითხოვა. მისმა კონკურენტმა კი 1,000 ლარით ნაკლები. ფეიქრიშვილის ორგანიზაციამ ტენდერის მოსაგებად, სამუშაოს ღირებულება საბოლოოდ 33 ათას ლარამდე ჩამოსწია. წესით, ტენდერი სწორედ მას უნდა მოეგო, რადგან ყველაზე ნაკლებ თანხას ითხოვდა. თუმცა, საბოლოოდ, ტენდერი ჩაიშალა, რადგან, აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციამ სამუშაოები არასწორად განაფასა.

აი აბსურდული მსჯელობის კლასიკური ნიმუში. ეს ტენდერი იყო ფასით ვაჭრობის ტენდერი და ვინც დაბალი ფასი შესთავაზა იმან გაიმარჯვა, აქ რა არის უკანონო ან უცნაური? პირველი ვაჭრობის დროს ვინ რა ფასი დადო რა მნიშვნელობა აქვს, საბოლოოდ ვინ დადო ნაკლები, ამას ჰქონდა იმ ტენდერისათვის მნიშვნელობა. თუ შეცდომა მოგვივიდა განფასებაში, დაავადებათა კონტროლის ცენტრმა, როგორც შემსყიდველმა არ გვაპატია და დისკვალიფიკაცია მოგვცა, ე.ი. ჩაიშალა ტენდერი.

ზუსტად სამ თვეში NCDC-მ 41,500-ლარიანი შესყიდვა ხელახლა გამოაცხადა. ამჯერად, ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ალიანსი ტენდერში მარტო მონაწილეობდა და გაიმარჯვა. სამუშაოებისთვის კვლავ 41,500 ლარი მოითხოვეს.

აქაც იგივე არასწორი ინტერპრეტაცია. აქაც იგივე მეთოდით ვაჭრობ ტენდერში და შედიხარ მაღალი ფასით პირველ რაუნდზე და მომდევო რაუნდებზე აკლებ ფასს. თუ პირველი რაუნდის დასრულების შემდგომ აღმოჩნდა, რომ კონკურენტი არ იყო, რატომ დავაკლებდით ფასს? ეს წინადადებაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

"როდესაც კომპანიები მარტო რჩებიან ტენდერებში სისტემატურად და მერე ისინი ფასს არ აკლებენ, ერთი მხრივ, ზუსტად იციან, რომ ეს ტენდერი მათზეა მორგებული და მეორე – ბაზარზე უკვე ალტერნატიული კომპანიები აღარ არის დარჩენილი ან დარჩენილია ძალიან მცირე რაოდენობით. ანუ კონკურენცია აღარ გაქვს," – ამბობს "შეაჩერე კორუფციის" დამფუძნებელი ქეთევან ენუქიძე.

ქეთევან ენუქიძის საოცარი მიგნება ღიმილს იწვევს. ცხადია, ვიდრე შესყიდვების რეფორმა განხორციელდებოდა ტენდერში ვაჭრობის რაუნდები იყო და ვაჭრობის პროცესში, პირველი ფაზა რომ სრულდება, ჩანს გყავს თუარა კონკურენტი და რომელი ჭკუათმყოფელი დააკლებდა ფასს?! ქალბატონი ქეთევანი, როგორც ჩანს ვერ ერკვევა ამ პროცესში, არადა შესყიდვების სპეციალისტად ჰყავთ გამოყვანილი „ჟურნალისტურ გამოძიებაში". უკვე რამდენიმე წელია სხვა წესით ტარდება ტენდერები და ვაჭრობის პროცესი აღარ მიმდინარეობს.

ბახტურიძე- ფეიქრიშვილის ორგანიზაცია იშვიათი გამონაკლისია, რადგან იმ ტენდერების 90% -ზე მეტი მოიგო, რომელშიც მონაწილეობდა.

თუ იქ ვმონაწილეობთ, სადაც რეალურად გვაქვს გამარჯვების შანსი, გამოცდილებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ ვიგებდეთ? ასე C ჰეპატიტიზე რომ შედის ორგანიზაცია, რომელსაც ამ სფეროში საუკეთესო გამოცდილება აქვს, დანაშაულია? თუმცა, აქაც კონკრეტული სფეროს ანუ თამბაქოს კონტროლში ჩვენი ეფექტური საქმიანობა არ მოსწონს თამაბქოს ინდუსტრიას და მათთან დაკავშირებულ პირებსა და ორგანიზაციებს.

ნანა ფეიქრიშვილს ვკითხეთ, უქმნიდა თუ არა უხერხულობას ის, რომ მისი ორგანიზაცია მისივე დამსაქმებლის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობდა. გვითხრა, რომ არა, რადგან ეს კანონით აკრძალული არ არის. ისიც მოგვწერა, რომ გამოავლენდა ჩვენი დამკვეთ-დამფინანსებლების ვინაობას.

ნანა ფეიქრიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ცენტრში მხოლოდ 2021 წლის ოქტომბრიდან მუშაობს და ისიც კონტრაქტით, კონკრეტული პროგრამის ფარგლებში. ნანა ფეიქრიშვილის საკუთრება არ არის თამბაქოს კონტროლის ცენტრი, ის გამგეობის წევრია და არასამთავრობო ორგნიზაციის წევრობა არანაირ სამართლებრივ პრობლემას არ ქმნის. მით უფრო წლების განმავლობაში მიმდინარე ტენდერებთან მისი „კორუფციული“ კავშირები, რომელიც ვითომ აღმოაჩინეთ, აბსურდია. აი, თქვენი დამკვეთ–დამფინანსებლები კი ნამდვილად იკვეთება სტატიის ბოლო ნაწილში. ვცდებით? ოი, ცილისმწამებლური სტატიის ავტორების ენით გიპასუხებთ, ჩვენ, გონივრული, მეტიც, ზეგონივრული ეჭვი გვაქვს.

“მე კანონის წინაშე მართალი ვარ და არანაირი ინტერესთა კონფლიქტი ამ კუთხით არ არსებობს, რადგან მე ცენტრში დროებით დაქირავებული თანამშრომელი ვარ, თან სულ სხვა დეპარტამენტში, ისიც რამდენიმე თვეა. ტენდერები რომელზეც საუბრობთ, წლებია მიმდინარეობს და აქამდე სახელმწიფო დაკვეთის შესრულება თუ დანაშაულო იყო, ნამდვილად არ გვეგონა.”

არც ცენტრსა და არც ნანა ფეიქრიშვილის ორგანიზაციას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონი არ დაურღვევიათ. პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი მაშინ <u>ჩნდება</u>, როცა შემსყიდველიც და მიმწოდებელიც ერთი ოჯახის წევრები არიან. ეს არ მომხდარა ნანა ფეიქრიშვილისა და დაავადებათა ცენტრის შემთხვევაში. თუმცა, დამსაქმებელი ორგანიზაცია მისივე თანამშრომლის

ორგანიზაციას რომ უფორმებს ხელშეკრულებას, ჩნდება ეჭვი, რომ ტენდერში გამარჯვების მიზეზი პირადი კავშირებია.

“თუ ცოლი მუშაობს NCDC-ში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას შეუძლია ჰქონდეს გავლენა პროცესზე. შეიძლება, ვისაც გავლენა აქვს იმის უახლოესი მეგობარი იყოს, ჰქონდეს მჭიდრო ურთიერთობა. ესეც გავლენად ითვლება. ასეთ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ კულუარულად იყოს რაღაც შეთანხმება,”- ამბობს კორუფციის მკვლევარი ქეთევან ენუქიძე.

ეს, ქალბატონ ქეთევანს იმდენად სასაცილო განმარტება აქვს, რომ კომენტარისთვის დროის დახარჯვაც დაგენანება. ნათესაური კავშირები ხომ არ აქვს ნანას ვინმესთან, იქნებ მოეკვლიათ, ეს ხომ უფრო მეტი ეჭვის საფუძველს შექმნიდა? ან რა იციან, გიორგი არ მეგობრობდეს ვინმე ისეთთან, ვისაც უშუალოდ, ან ყვავი ჩხიკვის მამიდის საშუალებით ისეთი გავლენები აქვს, რომ... ეს ჟურნალისტიკა არ არის და მით უფრო ჟურნალისტური მოკვლევა. ეს ჭორაობაა და ძალიან ვწუხვართ, რომ ამის თქმა გვიწევს.

“დაავადებათა კონტროლის ცენტრისგან” გვაინტერესებდა, როგორ მოხდა, რომ 10 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ორგანიზაციას ავალებენ თამბაქოს მოხმარების შესახებ კვლევას. გვინდოდა ეპასუხათ, ხედავენ თუ არა კორუფციის რისკებს იმაში, რომ NCDC ქირაობს თავიანთი თანამშრომლის ორგანიზაციას. “დაავადებათა კონტროლის ცენტრმა” პირისპირ ინტერვიუზე უარი გვითხრა. გვირჩიეს, კითხვებზე პასუხი საჯარო ინფორმაციის სახით გამოგვეთხოვა. არც წერილზე უპასუხიათ.

აქაც სიტყვა „დავალება“ ცილისმწამებლურია, ზემოთ აღვწერეთ პროცესი, რომელიც საკმაოდ გამჭვირვალეა და რეალურად დაინტერესებულ ადამიანს ადგილზე ჩვენთან ან დაავადებადაავადებათა კონტროლის ცენტრში შეეძლო გაცნობოდა შესაბამის დოკუმენტებსა და მასალებს. მეორე წინადადება ისევ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, იქედან გამომდინარე, რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრში ნანა ფეიქრიშვილმა ახლახან დაიწყო მუშაობა და ისიც სხვა მიმართულებით, რაც ზემოთ აღვწერეთ და ვერანაირ გავლენას იგი ვერც წარსულ და ვერც მიმდინარე წლის პროცესებზე ვერ მოახდენდა. ისევ უსაფუძვლო ბრალდებები და ცილისწამებები.

ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ორგანიზაციასა და ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მათ ევალებათ შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

- თამბაქოს კანონის აღსრულების შეფასება;

- საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სხვადასხვა დაწესებულების მიერ კანონის შესრულების მონიტორინგი;
- რეკლამის მონიტორინგი;
- ტრენინგების და საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და წარმოება;
- თამბაქოთი ვაჭრობის ქსელის მონიტორინგი.

„ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ორგანიზაცია“ არის კონკრეტული პროფესიონალების დაბულინგებისა და დისკრედიტაციის კლასიკური ნიმუში. ორგანიზაციის სახელწოდებაა: თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი და არა ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ორგანიზაცია, როგორც ცინიკური ხაზგასმით ე.წ. მკვლევარ-ექსპერტები უწოდებენ.

როგორ იკვლევს NCDC, შემცირდა თუ არა მწეველთა რიცხვი?

2016 წელს ბახტურიძემ გაასაჯაროვა კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მოწევის აკრძალვას მხარს უჭერდა გამოკითხულთა 89-92%. როგორ ჩატარდა კვლევა, რა მეთოდოლოგიით, უცნობია. რადგან კვლევის შესახებ სიღრმისეული მასალა გამოქვეყნებული არაა. ამ კვლევის საფუძველზე მისმა ორგანიზაციამ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც აიკრძალა საჯარო დაწესებულებებში მოწევა და სიგარეტის რეკლამირება.

კვლევა ჩაატარა ამ დარგის გამორჩეულმა და მიუკერძოებელმა ორგანიზაციამ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“, რაც აღნიშნულია ავტორების მიერ მოხმობილ სტატიაში და შეეძლოთ ორგანიზაციის გვერდზეც ენახათ კვლევის სრული ანგარიში https://issa-georgia.com/files/Reports/FCTC/თამბაქოსგან-თავისუფალი-გარემოს-მიმართ-დამოკიდებულებების-კვლევა-ანგარიში-ბოლო-David-online.pdf მხოლოდ ეს კვლევა არ ედო საფუძვლად საკანონდებლო ცვლილებებს. ეს ინსტიტუტი არ აგერიოთ „სოციალური კვლევების ინსტიტუტთან“, რომელიც „ფილიპ მორის ინთერნეიშენალის“ სატელიტი კვლევითი ორგანიზაციაა და რომლის საშუალებითაც, უკანონო სპონსორობით, თამბაქოს ინდუსტრია მათი ახალი პროდუქტის მარკეტინგში ითრევს მოქმედ პოლიტიკოსებს, ექიმებს, ცნობად სახეებს, მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ორგანიზებას უწევს ცრუ კვლევებს, ტრენინგებს თუ სხვა უკანონო საპოპულარიზაციო აქციებს, რასაც ჩვენი ორგანიზაცია, სწორედ მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში ავლენს და რეაგირებისათვის ფაქტებს გადასცემს შესაბამის აღმასრულებელ სტრუქტურებს. ეს არის ამ ყველაფრის თავი და თავი. ამიტომაც დაიგეგმა შეგნებულად ჩვენი

ორგანზიაციისა და მისი პროფესიონალი წევრების დისკრედიტაციის პროცესი მ/წ მარტის თვიდან და გრძელდება.

კანონის ამოქმედების შემდეგ კი ბახტურიძე ამტკიცებს, რომ მწეველთა რაოდენობა შემცირდა. ამ ინფორმაციას ის ისევ თავისი კვლევებით ადასტურებს. რეალურად კი, არ ვიცით, რა შედეგი გამოიღო 2017 წელს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა. 2016 წლის შემდეგ მწეველთა რიცხვის შესახებ ფართომასშტაბიანი კვლევა არ ჩატარებულა.

ბახტურიძე თავისი კვლევებით არაფერს არ ადასტურებს, რადგან კვლევები ჩაატარა დაავადებათა კონტროლის ცენტრმა, რომლის პრეზენტაციაც იყო 2019 და 2020 წლებში. პრეზენტაციის მასალები შეეძლოთ გამოეთხოვათ დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან, მაგრამ ალბათ არ სურდათ კთხვებზე ამომწურავი პასუხები. 2019 წლის კვლევის შედეგები შეეძლოთ ეხილათ ბმულით: https://ncdc.ge/#/pages/file/fa339295-6e09-4139-9d89-2ed16a91fe82

2016 წელს NCDC-მ თავად ჩაატარა კვლევა და დაადგინა, რომ საქართველოში მოქალაქეების 31% მწეველი იყო.

ახლა აღმოჩნდა თურმე არა ბახტურიძეს, არამედ NCDC-ს ჩაუტარებია კვლევა. გვაპატიეთ, მაგრამ საკუთარ აბსურდებში ძალიან იხლართებიან, ზემოთ ერთს ამბობენ, აქ სხვას.

2020 წელს კვლევა ისევ ჩატარდა, მაგრამ სხვა მეთოდოლოგიით. ამ შემთხვევაში სატელეფონო კომუნიკაციის გზით მოქალაქეები ტაქსიში გამოიკითხა. სულ 1,001 ადამიანი. მათ უნდა ეპასუხათ კითხვაზე, ეწევიან ან ეწეოდნენ თუ არა თამბაქოს რომელიმე პროდუქტს. ამ კვლევით დაასკვნეს, რომ მწეველთა რაოდენობა 28.2 %-მდე შემცირდა.

აშკარაა, რომ კვლევების მეთოდოლოგიებში მრჩეველი არ ჰყავთ. მიემართათ კვლევის დამკვეთის ან კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის და აუხსნიდნენ მეთოდოლოგიას. აშშ-შიც კი საკმარისია 1000 ადამიანის სატელეფონო რანდომული გამოკითხვა მოსახლეობის რეალური განწყობების გასაზომად. ეს კვლევა დაავადებათა კონტროლის ცენტრის დაკვეთით ჩაატარა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ხელ-ლი პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი). იმედია, ბატონი იაგო კაჭკაჭიშვილის კომპეტენციასა და მიუკერძოებლებაშიც არ შეიტანენ ეჭვს ავტორები.

არადა, ეს კვლევები შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად განსხვავებულია. 2016 წლის კვლევა სამეტაპიანი იყო და გამოკითხეს 5,500-ზე მეტი რესპონდენტი მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2020 წლის კვლევა კი მხოლოდ ტაქსებში მოწევას სწავლობდა და მასში 1,000 ადამიანი მონაწილეობა.

სტატიის ავტორებს ამას მკვლევარი მრჩევლები ეუბნებიან? მიემართათ კომპეტენტური მკვლევარებისათვის და მიიღებდნენ პასუხებს.

მკვლევრებისა და ჯანდაცვის სპეციალისტების თქმით, ამ მეთოდოლოგიური განსხვავების გამო კვლევების შედარება ვერ გვიჩვენებს, სინამდვილეში როგორ შეიცვალა მწეველთა რაოდენობა. პრობლემაა ისიც, რომ ცენტრს კვლევის სრული ვერსია არ გაუსაჯაროებია. ვიცით მხოლოდ მისი შედეგები.

არასანდოობას შესაძლოა იწვევდეს ისიც, რომ ცდომილება მაღალია. ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, სანდრო ურუშაძე ამბობს, რომ კვლევის მიხედვით თამბაქოს მოწევა 2.8%-ით შემცირდა, მაგრამ ამ კვლევის ცდომილება 5%-მდეა და შესაძლოა, საქმე არც ისე სახარბიელოდ გვქონდეს, როგორც კანონის ინიციატორებს სურთ წარმოაჩინონ.

ეს ის სანდრო ურუშაძეა, რომელიც „ფილიპ მორის ინთერნეიშენალის“ და მისი სატელიტი ორგანიზაციის დაფინანსებით გასახურებელი თამბაქოს პროდუქტის მარკეტინგზე მუშაობს. რომელიც ცდილობს ექიმები დაარწმუნოს, რომ მწეველს, მისი თქმით, ნაკლები ზიანის მომტანი გასახურებელი თამბაქო შესთავაზოს. ნაცვლად იმისა, რომ მოწევაზე თავის დანებება ურჩიოს მსოფლიოში აპრობირებული, ეფექტური პროგრამებით, რომელთა ნაწილი საქართველოშიც ხორციელდება და ამაშიც რესურსებს ხარჯავს სახელმწიფო ncdc და ზოგიერთი ორგანიზაციის საშუალებით. სტატიის მიხედვით გამოდის, რომ სანდრო ურუშაძე, რომელიც თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების გამტარებელია, შეიძლება არ ცდებოდეს და ინდუსტრიის ინტერესებს არ ატარებდეს მწეველთა რიცხვის შეფასებისას და გიორგი ბახტურიძე, რომელიც 20 წელია ჯანსაღი გარემოს შექმნისათვის იბრძვის და საზოგადოების ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი და ეფექტური პროგრამების განხორციელებას ცდილობს საზოგდოება შეიყვანოს შეცდომაში? გიორგი, როგორც გამოცდილი მკვლევარი და მეცნიერი, ეყრდნობა მიუკერძოებელი ორგანიზაციების კვლევებსა და მტკიცებულებებს ზემოაღნიშნული ბატონისაგან განსხვავებით, რომელსაც ინტერსთა პირდაპირი კონფლიქტი აქვს მის პროფესიასთან და კარგა ხანია, მისი სტატუსი არა ჯანდაცვის ექსპერტი, არამედ თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენელია, რომელიც პირადად გიორგი ბახტურიძემ არაერთხელ ამხილა. შესაბამისად, მისი გამოჩენა ამ ე.წ. ჟურნალისტურ გამოძიებაში არ გაგვკვირვებია და ახლა ის და მისი

დამფინანსებლები ცდილობენ აბსურდული „ბრალდებები“ შექმნან, სწორედ ისეთი უპინციპო მკვლევარებისა თუ ჟურნალისტების საშუალებით, რომელთათვისაც სიმართლის მსახურება და ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, როგორც ჩანს არაფერს წარმოადგენენ.

პარლამენტში თამბაქოს შესახებ კანონის საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის წევრი, იურიდიული ანალიტიკოსი, ნიკა ნანუაშვილი გვეუბნება, რომ ორგანიზაციები, რომლებიც თამბაქოს მკაცრ პოლიტიკას ემხრობოდნენ, ცდილობენ ტაქსებში მოწევის შემცირება გაასაღონ ისე, თითქოს მწეველთა რიცხვი მთელი ქვეყნის მასშტაბით შემცირდა.

„პარლამენტში თამბაქოს შესახებ კანონის საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის წევრი, იურიდიული ანალიტიკოსი“ - ნიკა ნანუაშვილი? ასეთი წოდება ბატონმა ნიკამ თვითონ მიინიჭა? როგორ, რა ფორმით, სად? თუ თამბაქოს ინდუსტრიის, კერძოდ „ფილიპ მორის ინთერნეიშენალის“ დაკვეთით მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივებს რომ შეიტანს პარლამენტში, ჰგონია, რომ კანონზე მომუშავე ჯგუფის წევრია? რა უნდა ბატონ ნიკას, რომ თამბაქოს კონტროლის ეფექტური პოლიტიკა და სახელმწიფო მხარდაჭერა მიუღებელია მისთვის და მისი დამკვეთისათვის? ჩვენ, ბოროტებას ვეწევით, როდესაც თამბაქოს კონტროლში ეფექტურ რეფორმებს ვითხოვთ? როდესაც მოსახლეობას მოვუწოდებთ, რომ მოწევაზე თავის დანებების ერთადერთი ალტერნატივა თამბაქოს ნებისმიერ ნაწარმზე უარის თქმაა?! რა უნდა ბატონ ნიკას, რომ საზოგადოებას მოვუწოდოთ, მოწიონ ელექტრონული და გასახურებელი თამბაქოს ნაწარმი, რადგან კლასიკური თამბაქოს ნაწარმი, სიგარეტი თანდათან ამოვარდება ხმარებიდან და თუ ინდუსტრიას ახალი პროდუქტების მომხმარებლები არ ეყოლება, გაკოტრდება? მოკლედ, სტატიის დაწერის მიზნის ლუსტრაცია ნიკა ნანუაშვილის გამოჩენით სრულად მოხდა. ნიკა ნანუაშვილსაც ველოდით ამ „ჟურნალისტურ გამოძიებაში“, რომლის მიერ პარლამენტში შეტანილ, არგუმენტებს მოკლებულ ინდუსტრიისეულ კანონპროექტებს ჩვენი არგუმენტებით ვანეიტრალებდით ბოლო წლებია. ახლაც აქვთ კანონპროექტი შეტანილი პარლამენტში და ცდილობენ, მაგ. სადა შეფუთვის ნორმის გადავადებას, მაგრამ მიუხედავად მათი მხრიდან მიზანიმართულად ჩვენი და განსაკუთრებით გიორგი ბახტურიძის დისკრედიტაციის მცდელობისა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესები კვლავ დაცული იყოს ამ ქვეყანაში.

„როცა ტაქსებში ჩატარებული კვლევის მიხედვით გვინდა ქვეყანაში მწეველთა რიცხვი შევაფასოთ… არასწორი კრიტერიუმია. ეს ვერ იქნება საზომი. თვითონ კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია ეჭვს იწვევს. რამდენი ტაქსისტი ან რამდენი

მგზავრი გამოვკითხეთ? სად, თბილისში, ბათუმში? ეს არ ვიცით," – ამბობს ნანუაშვილი.

ნიკა ნანუაშვილი ჯანდაცვის სფეროს მკვლევარიც გამხდარა და კომენტარს იძლევა ისეთ საკითხებზე, რომლის კომპეტენცია მას არ გააჩნია. რაც შეეხება მოხმობილ კვლევას, ამაზე ზემოთ გავეცით პასუხი.

NCDC-ს წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბარი არც ამ თემაზე ისურვეს. არადა, ისინი ჩვენს ფულს ხარჯავენ და ვალდებული არიან, მედიის კითხვებს საეჭვო გარიგებების შესახებ უპასუხონ და მაქსიმალური გამჭვირვალობა ჰქონდეთ. ბევრი წელია, ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას კეთროვანივით გაურბიან.

Ncdc-ს ამ თემაზე განცხადება გაკეთებული ჰქონდა და კეთილი გენებათ, გენახათ:
https://ncdc.ge/#/pages/content/cf82e10f-d79f-4bdb-939a-73a67f20ed6e

საეჭვო გარიგება „აიფაქტში" იკვეთება და ამაზე სამართლებრივად მოუწევთ შესაბამისი პირების საქმიანი იმიჯისა და რეპუტაციის შელახვისათვის პასუხისგება. რაც შეგვეხება ჩვენ, არცერთ სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოს ან კერძო აუდიტს არ აღმოუჩენია არანაირი ფინანსური დარღვევა ჩვენს საქმიანობაში. ამიტომ არაფერი გვაქვს თავის სამართლებელი, პირიქით, ამაყად ვამბობთ, პროფესიულ მოვალეობას ჩვენსავით ყველა ყველა რომ ასრულებდეს, მაშინ ქვეყანაც უფრო წელგამართული იქნებოდა.

„აი ფაქტის" ცილისწამებლური ტექსტის განხილვის შემდეგ შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, სტატია (რომელიც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ) ემსახურება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციის დისკრედიტაციას, საქმიანი რეპუტაციის და იმიჯის შელახვას, ამიტომაც შეგნებულად არ ეყრდნობა ფაქტებს და ჩვენს მიერ განხორციელებული სამუშაოების ამსახველ დოკუმენტებს.

მიგვაჩნია, რომ „აი ფაქტის" ჟურნალისტების ია ასათიანისა და ნონა ქვლივიძის მიერ დაირღვა ქარტიის 1, 3, 5, 7 და 11 პრინციპები შემდეგ გარემოებათა გამო:

პრინციპი 1.

ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

ზემოთმოყვანილ სტატიაში სათაურიდანვე დარღვეულია პირველი პრინციპი. არ არსებობს დაავადებათა კონტროლის ცენტრის „პრივილეგირებულთა ალიანსი“ და თუ სადმე, ბუნებაში არსებობს და ჩვენ არ ვიცით, ზუსტად შეგვიძლია გითხრათ, რომ თამბაქოს კონტროლის ალიანსის არცერთი ორგანიზაცია იმ ალიანსში არ შედის. სათაური თავიდანვე ცრუ ინფორმაციის და ვითომდა სკანდალის წასაკთხად განაწყობს მკითხველს. ჩვენს პასუხებში კი ნათლად ჩანს, რომ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული ნანა ფეიქრიშვილის კავშირები ტენდერებთან და სხვა საკითხები და ეს ე.წ. გამოძიება ემსახურება კონკრეტულ მიზანს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება და ცრუ წარმოდგენა შეუქმნას ჩვენი ორგანიზაციის, გიორგი ბახტურიძისა და მისი მეულლის ვითომდა კორუფციულ გარიგებებზე დაავადებათა კონტროლის ცენტრთან, რაზეც მტკიცებულებები ავტორებს არ წარმოუდგენიათ და ვერც წარმოადგენდნენ, რადგან გიორგი ბახტურიძის ცხოვრების კრედოა სიმართლისა და საზოგადოების ინტერესების მსახურება, მათ შორის სწორედ თამბაქოს ინდუსტრიასთან კორუფციულ გარიგებებში შესაბამისი საჯარო პირების მხილება, რაც არაერთხელ მოუხდენია ყველა ხელისუფლების დროს და ამის მტკიცებულებებიც უამრავია მედია სივრცეში.

http://old.gza.kvirispalitra.ge/qveyana/464-vin-lobirebs-thambaqos-biznes-akhlandel-mthavrobashi.html
https://www.youtube.com/watch?v=QhRC7ZCpUXU
https://www.facebook.com/watch/?v=1028381770557860
https://www.youtube.com/watch?v=SZOC76eOlzM
http://trialeti.ge/?p=86134
https://commersant.ge/ge/post/tambaqos-regulacia-unda-gavrceldes-gaxurebad-tambaqoze-am-sakitxze-ukan-daxeva-ar-iqneba
https://bm.ge/ka/article/tambaqos-kontrolis-aliansi-gancxadebas-avrcelebs-/22617
liberali.ge/articles/view/36734/tambaqos-kontrolis-aliansi-samorineebsa-daა-akrdzalvas-moitkhovs
https://imedinews.ge/ge/politika/116567/tambaqos-kontrolis-aliansi-eleqtrosigaretebze-regulatsiebis-shesadzlo-sherbilebas-akritikebs
https://rustavi2.ge/ka/news/229741
https://www.facebook.com/HealthFederationOfGeorgia/posts/319612616449091/
http://psnews.ge/index.php?m=149&jur_id=1103
https://formulanews.ge/News/28785
და ა.შ....

პრინციპი 3.

ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

ჟურნალისტმა (ჟურნალისტებმა) გაავრცელა საკუთარი, ვინმე ექსპერტების და მიკერძოებული, თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენელების ან მათთან დაკავშირებული პირების ეჭვები და არა ფაქტები. ფაქტი არის ის, რომ ნამდვილად ვიმარჯვებთ ტენდერებში (მაგრამ არა ყველაში), მაგრამ ეს გამარჯვებები ეყრდნობა ფაქტებს, რომელთა მოკვლევა შეიძლება, ისევე, როგორც შეიძლება მოკვლევა იმისა, თუ რა სახის სამუშაოები იქნა ჩვენს მიერ გაწეული და ტექნიკურ მოთხოვნებთან მოდიოდა შესაბამისობაში თუ არა. ამის შესახებ მასალების გამოთხოვა შეიძლებოდა ჩვენი ორგანიზაციიდან ან დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან.

პრინციპი 5.
მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

გამოქვეყნების შემდეგაც მივაწოდეთ ზუსტი ინფორმაცია (ნონა ქვლივიძეს) და არ გაითვალისწინეს. ამის მტკიცებულებებიც გვაქვს მიმოწერის სახით და განხილვის დროს შეგვიძლია წარმოვადგინოთ სქრინშოტები.

პრინციპი 7.

ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

სამწუხაროდ, ეს პრინციპი დაირღვა. არასწორი, დაუზუსტებელი ეჭვების საფუძველზე წაყენებული მთელი რიგი ბრალდებები, ცილისწამებები ქმნის კონკრეტული პირებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლისა და დისკრიმინიაციის მცდელობას, ასევე დისკრედიტაციისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფრთხეს. კერძოდ, გიორგი ბახტურიძისა და მისი ოჯახის ბულინგი, შეურაცხყოფა და დისკრიმინაცია იგრძნობა თითქმის ყველა აბზაცში, განსაკუთრებით იმ ტერმინის გამოყენებით როგორიცაა „ბახტურიძე-ფეიქრიშვილის ორგანიზაცია“. სწორედ, დარგის მოუსყიდველი და პირუთვნელი სპეციალისტობის გამო ხდება მათი პირდაპირი დისკრიმინაცია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თამბაქოს ინდუსტრიამ და მათთან დაკავშირებულმა პირებმა ცრუ ბრალდებების კასკადი წამოიწყეს მ/წ მარტიდან.

ოჯახს, რომელიც ისედაც მძიმე სტრესშია, 2020 წლის თებერვლიდან მათი არასრულწოვანი ბავშვის ონკოდაავადების გამო, შესაბამისი პირები აგრძელებენ ფსიქოლოგიურ ტერორს მათი უსაფუძვლო ეჭვების მასობრივი საშუალებების არხებით გავრცელების შედეგად, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ, ისედაც მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

პრინციპი 11.
ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

- ფაქტის განზრახ დამახინჯება;
- ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
- პლაგიატი.

სტატიაში მრავლად არის ფაქტების განზრახ დამახინჯება. რაც კონკრეტული აბზაცების მიხედვით განმარტებული გვაქვს. ასევე, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ე.წ. ჟურნალისტური გამოძიება მასში მოხმობილი რესპოდენტების გამო (იგულისხმება ანდრეა ურუშაძე და ნიკა ნანუაშვილი) დაკვეთილია სწორედ კონკრეტული თამბაქოს კომპანიისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზციებისა თუ პირების მიერ და ემსახურება დარგის პროფესიონალისა და მისი ოჯახის ბულინგს, დისკრედიტაციასა და დისკრიმინაციას.

2. ე.წ. „ჟურნალისტური გამოძიების“ გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე, მ/წ 10 აგვისტოს, თემა აიტაცა **ტ/კ „პირველმა“**, კერძოდ, **ჟურნალისტმა ანა მდივანმა** მოამზადა სიუჟეტი, რომლის სათაურია: „სავარაუდო კორუფცია დაავადებათა კონტროლის ცენტრში – უწყება მილიონობით ლარს თავისივე თანამშრომელს უხდის“:
https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/23704-savaraudo-korupts ia-daavadebata-kontrolis-tsentrshi-utskeba-milionobit-lars

https://www.youtube.com/watch?v=8TQEYU66V0Y

აქაც სკანდალისათვის დამახასიათებელი სათაურით იწყება სიცრუე, რომელიც იოტისოდენადაც არ შეესაბამება სანამდვილეს. თავად მკვლევარებიც აღნიშნავენ, ნანა ფეიქრიშვილმა დაავადებათა კონტროლის ცენტრში მუშაობა მხოლოდ 2021 წლის სექტემბრიდან (რეალურად 1 ოქტომბრიდან) დაიწყო და დაავადებათა კონტროლის ცენტრი ვერანაირად ვერ გადაუხდიდა ე.წ. მილიონებს მისივე

თანამშრომელს. „სიტყვა მილიონებიც“ სპეციალურად აქვთ გამოყენებული. სინამდვილე ზემოთ დეტალურად აღვწერეთ.

მთელს სიუჟეტს ასევე სდევს, აშკარად გამიზნულად შერჩეული, მასტიგმატიზირებელი სათაური: „NCDC-ის პრივილეგირებულთა ალიანსი ბიუჯეტიდან მილიონებს იღებს“. ცდილობენ შთაბეჭდილება შეუქმნან საზოგადოებას, რომ ვიღაცეები გარიგებაში არიან დაავადებათა კონტროლის ცენტრთან და მილიონებს „აკეთებენ“.

ჟურნალისტი დირექტიულად ცილს წამებს ნანა ფეიქრიშვილს, როდესაც ამბობს, რომ თურმე ნანა „იცნობს ადამიანებს, რომლებიც შემდგომ იღებენ გადაწყვეტილებებს და კონკრეტულ ტენდერებში ამარჯვებინებენ კომპანიას“, ამ ბრალდებებზე არ წარმოუდგენიათ რაიმე ფაქტი, კერძოდ ვისზე აქვს გავლენა, რა გავლენა და ა.შ...

ცისლისმწამებლური სიუჟეტის პირველი რესპოდენტი (რომლის ვინაობაც რატომღაც ტიტრებში მითითებული არ არის) აცხადებს, რომ ნანა ფეიქრიშვილს „შეიძლება ჰქონდეს გავლენა ტენდერების პროცესზე“ და არ ამბობს როდიდან მუშაობს ნანა ფეიქრიშვილი დაავდებათა კონტროლის ცენტრში და წინა წლების ტენდერებზე როგორ მოახდენდა გავლენას, ან ამჟამად მისი პოზიციიდან გამომდინარე, როგორ უნდა მოეხდინა გავლენა ტენდერების პროცესზე. რაღა თქმა უნდა, არანაირი ფაქტები არ წარმოუდეგენია. ალოგიკურად მსჯელობს რესპოდენტი, როდესაც ამბობს, რომ ჩვენი „ორგანიზაცია არის საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი და გამოდის, რომ შეიძლება არც იყოს ობიექტური თავისავე დაწერილი კანონპროექტის აღსრულების შეფასებისას“. ჩვენ, როგორც ამ ცვლილებების თანაავტორი პროფესიული ორგანიზაცია, დაინტერესებული ვართ კანონის მოთხოვნების მაღალ დონეზე დაცვით და ამიტომაც მაქსიმალურად ჩართული ვართ მისი აღსრულების მონიტორინგში და აღმასრულებელი სტრუქტურების პროფესიული გადამზადების პროცესში. ობიექტური არ ვიყოთ, რას ნიშნავს, ანუ, კანონი თუ სრულდება, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ არ სრულდება? ან რა ლოგიკაა, ან რა ჟურნალისტიკა?

მეორე რესპონდენტი, ქეთევან ენუქიძე, „აი ფაქტის“ ე.წ. „ჟურნალსიტურ გამოძიებაშიც“ ფიგურირებს და მისი კომპეტენცია ტენდერებთან დაკავშირებით იმდენად სუსტია, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად არაკომპეტენტურობისა, მაინც ამბობს, რომ ნანა ფეიქრიშვილი „შეიძლება ფლობდეს გავლენის რაღაც ბერკეტებს“. რა რაღაც ბერკეტებს, რა შეიძლება? რისი მკვლევარი ხარ, თუ დადასტურებულად არ გაქვს ინფორმაცია და რახან არ

გაქვს, როგორ ბედავ შებღალო ადამიანის რეპუტაცია და სახელი? არც კი ახსენებს ფაქტობრივ გარემოებას, რომ ნანა ფეიქრიშვილმა რამდენიმე თვის უკან დაიწყო დაავადებათა კონტროლის ცენტრში მუშაობა და ისიც საკონტრაქტო პოზიციაზე, სულ სხვა დეპარტამენტში და სულ სხვა პროგრამის ფარგლებში.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტელეკომპანიიდან არავინ დაკავშირებია არც ორგანიზაციის ხელმძღვანელს გიორგი მაღრაძეს, არც გიორგი ბახტურიძეს და არც ნანა ფეიქრიშვილს და არ დაუსვამთ კითხვები „აი ფაქტის“ საგამოძიებო ჟურნალისტიკის „შედევრზე“.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, **ჟურნალისტმა ანა მდივანმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპები.**

3. ე.წ. „ჟურნალისტური გამოძიების“ გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე, მ/წ 10 აგვისტოს, თემა ორკესტრირებულად აიტაცა **ტ/კ „მთავარმა“, კერძოდ, ჟურნალისტმა ნინო (ნინიკო) გიგაურმა** მოამზადა სიუჟეტი, რომლის სათაურია: „სავარაუდო კორუფცია NCDC-ში - უწყების ტენდერებში მუდმივად თამბაქოს კონტროლის ალიანსი იმარჯვებს - „აი ფაქტის“ გამოძიება“: https://mtavari.tv/news/94990-savaraudo-koruptsia-ncdc-shi-ucqebis-tenderebshi

აქაც სათაურიდან იწყება სიცრუე. აბსურუდულია თამბაქოს კონტროლის ალიანსზეა მითითება, მაშინ როდესაც ალიანსს არანაირ ტენდერში არასდროს არ მიუღია მონაწილეობა და ვერც მიიღებდა, რადგან არარეგისტრირებული კავშირია. სიუჟეტის განმავლობაშიც სათაურად ჩანს: „თამბაქოს კონტროლის ალიანსი და ტენდერები“, როგორც აღვნიშნეთ, აბსურდია ალიანსის ტენდერებთან კავშირი.

სიუჟეტის ავტორი ამბობს, რომ „NCDC 10 წელია ერთი და იგივე კომპანიას უფორმებს ხელშეკრულებებს, ხშირ შემთხვევაში უკონკურენტოდ იგებს მილიონებს“. ჯერ ერთი ჩვენი ორგანიზაცია „კომპანია“ არ არის და ამაზე ზემოთაც ვთქვით. ვართ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ააიპ). იგებს მილიონებსაც არასწორი ფორმულირებაა და რჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველ ტენდერზე მილიონებს ვიგებთ თურმე. სინამდვილეში კი, 11 წლის განმავლობაში იყო 2,7 მილიონ ლარამდე ტენდერებით მიღებული თანხა, მაგრამ ამ თანხის 30%-ზე მეტი გლობალური ფონდის საგრანტო პროექტები იყო, რომელსაც დაავადებათა კონტროლის ცენტრი უწევს მენეჯმენტს. შემდგომ სიუჟეტის ავტორი აგრძელებს თხრობას და ამბობს, რომ „კომპანიის

დამფუძნებელი გიორგი ბახტურიშვილიაო“, აქაც არაზუსტი ფაქტებია, ის რომ ააიპ არის ჩვენი ორგანიზაცია და არა კომპანია, ასევე დამფუძნებლობა არ ნიშნავს წილების არსებობას. ესეც საზოაგდოების შეცდომაში შეყვანის კლასიკური მაგალითია და შეეძლო ავტორს სანდო წყაროებიდან გადაემოწმებინა ინფორმაცია. შემდგომ აცხადებს, რომ „მეუღლე (იგულისხმება ნანა ფეიქრიშვილი) დასაქმებულია NCDC-ში, რის გამოც, მკვლევარები აქაც სავარაუდო კორუფციის ნიშნებზე ეჭვობენ“. ავტორმა, არც ჩახედა „მკვლევარების“ შეთხზულ დოკუმენტს ან განზრახ დამალა ფაქტი, რომ ნანა ფეიქრიშვილი დაავადებათა კონტროლის ცენტრში 2021 წლის 1 ოქტომბრიდან მუშაობს.

პირველი რესპონდენტი, მანჩო გოგობერიძე, რომელსაც ტიტრებში მითითებული აქვს, რომ „აი ფაქტის“ მკვლევარია (რატომღაც სტატიის ავტორები არც ტვ „პირველის“ და არც ტვ „მთავარის“ სიუჟეტებში არ გამოჩენილან) აცხადებს, რომ „ბოლო 10 წელი დაავადებათა კონტროლის ცენტრი ქირაობს ერთი და იგივე ორგანიზაციას, რომლის დამფუძნებელია გიორგი ბახტურიძე და რომელიც არის NCDC-ს თანამშრომლის მეუღლე“. აქაც რესპოდენტი არ მიუთითებს რა პერიოდიდან მუშაობს ნანა ფეიქრიშვილი დაავადებათა კონტროლის ცენტრში და ასევე არ მოჰყავს რაიმე მტკიცებულება ან ფაქტი ნანა ფექრიშვილის ტენდერებზე ზეგავლენის შესახებ. აქაც, რესპოდენტი გამოთქვამს ეჭვს, რომელსაც არანაირი საფუძველი არ აქვს და უფრო მეტად დრამატულად ავითარებს სიუჟეტს: „ეს ოჯახი NCDC-თვის აქამდეც ნაცნობი იყოო“. ეს არის თავაშვებული ცილისწამება. ასეთი მკვლევარები ატარებენ ჟურნალისტურ გამოძიებებს „აი ფაქტში“ და ეს არის მათი მტკიცებულების სტანდარტი და ხარისხი? ეს არის პროფესიონალიზმი და გამოძიება, რომ თქვან, ვიღაც დაავადებათა კონტროლის ცენტრში ხომ იცნობდა გიორგი ბახტურიძეს და მის ოჯახსო და ამის გამო აგებინებდა ტენდერებში?! კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ეს არ არის არც ჟურნალისტიკა, არც მოკვლევა, ეს არის ჩვეულებრივი ჭორაობა.

მეორე რესპონდენტი აქაც ქეთევან ენუქიძეა, რომელიც აცხადებს, რომ „ტენდერი ამ ქვეყანაში უკვე ფუნქციას კარგავს, როდესაც ერთი და იგივე კომპანია, მითუმეტეს ისეთი ეჭვებიც არსებობს, რომ მეუღლეც იქაა დასაქმებული“. რა კომპანია, რის კომპანია? ეს არაერთხელ ვთქვით და ამ რესპონდენტსაც კარგად შეეძლო ამონაწერი წაეკითხა, გარკვეულიყო როდიდან მუშაობს ნანა ფეიქრიშვილი დაავადებათა კონტროლის ცენტრში, რა ფუნქციები აქვს, რა კავშირები და ზეგავლენები სატენდერო კომისიაზე და ა.შ. დაავადებათა კონტროლის ცენტრმა ახლა გაიგო, რომ ნანა ფექრიშვილი ჩვენი ორგანზიაციის

გამგეობის წევრი იყო, რაც არანაირ ინტერესთა კონფლიქტს არ ქმნის სამართლებრივად და რასაც თავად „აი ფაქტის“ ჟურნალისტებიც ვერ უარყოფენ.

მესამე რესპოდენტია სერგო ჩიხლაძე, რომელიც, როცა დამოუკიდებელი ექსპერტი იყო, დიდი სიხარულით შეხვდა თამბაქოს კონტროლის რეფორმებს და ამჯერად მანაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული განცხადება გააკეთა. სამწუხარო ფაქტია, რომ ბატონი სერგო მონაწილეობდა „ფილიპ მორის ინთერნეიშენალის“ მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მ/წ 23 მაისს გაიმართა სასტუმრო „რედისონში“, შესაბამისად, ჩვენ საფუძვლიანი ეჭვი გაქვს, რომ ეს რესპონდენტი დაკავშირებულია თამბაქოს ინდუსტრიის კომპანიასთან და მათ ინტერესებს აჟღერებს.

სიუჟეტის ავტორი ბოლოში აცხადებს, რომ დაუკავშირდა ორგანიზაციის ხელმძღვანელს გიორგი ბახტურიძეს (ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი ბახტურიძე 7 წელია აღარ არის), რომელმაც თითქოს უარი განაცხადა ეპასუხა მის კითხვებზე. ასეთი ფაქტი არ ყოფილა, გიორგი ბახტურიძეს არავინ დაკავშირებია ამ საკითხზე, მითუმეტეს მას უარი არ განუცხადებია ეპასუხა კითხვებზე.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, **ჟურნალისტმა ანა მდივანმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპები.**

თამაბქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის დირექტორი: გიორგი მაღრაძე;

ამავე ცენტრის გამგეობის წევრი: გიორგი ბახტურიძე;

ამავე ცენტრის გამგეობის წევრი : ნანა ფეიქრიშვილი